31 მაისს და 1 ივნისს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, XII ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდი - თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ - სტუმრად თამაშობდნენ მოსკოვში. თბილისელები შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს, ხოლო ქუთაისელები „სპარტაკს“.

დინამოელთა გუნდების მატჩის პირველ ნახევარში ორივე მხარე ცდილობდა სათამაშო უპირატესობისთვის მინდვრის შუაგულში მიეღწია. შემდეგ კი, როცა ბრძოლაში თავდამსხმელები ებმებოდნენ, დაცვითი ხაზები ენერგიული თამაშით იგერიებდნენ მათ შეტევებს.

ამ ორმხრივ იერიშებში პირველ წარმატებას მოსკოველებმა მიაღწიეს: მარცხენა ფრთაზე გაიჭრა ბოროდიუკი, რომელმაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი – 1:0.

თბილისელებმა კონტრიერიშით უპასუხეს გაშვებულ ბურთს, მაგრამ 37-ე წუთზე ბოროდიუკმა კვლავ მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, კარის წინ ჩააწოდა და იქ მცველებს წამით დაასწრო კარატაევმა – 2:0.

შესვენების შემდეგ თამაში კარგა ხანს მოსკოველთა ნახევარზე მიმდინარეობდა, თბილისელ ფეხბურთელებს გუცაევს, გაზაევს, შემდეგ – ჩელებაძეს შეეძლოთ ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, მაგრამ მასპინძელთა მცველებმა და მეკარე პრუდნიკოვმა მოიგერიეს ყველა შეტევა.

გუნდების შემადგენლობანი: მოსკოვი – პრუდნიკოვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, დობროვოლსკი, ბულანოვი, კობელევი (კოლივანოვი), სტუკაშოვი, (მოლოდცოვი), კარატაევი, ბოროდიუკი; თბილისი – გაბელია, კეტაშვილი, არზიანი, ჭედია, კუდინოვი (ჟორდანია), კაკილაშვილი (ჩელებაძე), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, გაზაევი, ჯოხაძე.

მსაჯი ვ. ჟუკი (მინსკი).

დუბლიორთა მატჩშიც გამარჯვება მოსკოველებს ხვდათ წილად – 2:0.

ლელო 3.06.1986